

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს სრული შემოსავლის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2024	2023
ამონაგები	შენ. #1	9 961 043	8 166 653
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	შენ#2	(7 862 237)	(6 491 924)
საერთო მოგება	შენ. #3	2 098 806	1 674 729
ადმინისტრაციული ხარჯები	შენ#4	(736 197)	(643 835)
ძირითადი ხარჯები	შენ.#5	(1 088 299)	(941 244)
საოპერაციო მოგება		274 310	89 650
არასაოპერაციო შემოსავალი		-	-
არასაოპერაციო ხარჯი		31 495	-
მოგება დაბეგვრამდე		242 815	89 650
მოგების გადასახადის ხარჯი		(46 970)	(37 568)
მიმდინარე წლის მოგება	შენ.#6	195 845	52 082
გაუნაწილებელი მოგება წლის		284 959	405 298
დასაწყისში			
ღივიღენდები		(214 737)	(172 421)
გაუნაწილებელი მოგება წლის			
ბოლოს	შენ.#7	266 067	284 959

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2024	2023
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	შენ.#8	182 206	159 691
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენ.#9	1 575 441	1 351 078
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	შენ.#10	285 184	371 609
სხვა მოთხოვნები, ავანსები		60 923	21 564
		2 103 754	1 903 942
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		162 433	131 177
არამატერიალური აქტივები		-	-
	შენ.#11	162 433	131 177
სულ აქტივები		2 266 187	2 035 119
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	შენ.#12	2 000 005	1 750 160
შრომის ანაზღაურება		-	-
საგადასახადო ვალდებულება	შენ.#13	115	-
		2 000 120	1 750 160
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	შენ.#14	266 067	284 959
		266 067	284 959
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2 266 187	2 035 119

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	11 760 567	8 337 018
გაწეული ხარჯები	(11 750 053)	(8 304 938)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	12 001	28 125
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	22 515	60 205
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო		
პერიოდის დასაწყისისათვის	159 691	99 486
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო		
პერიოდის ბოლოსათვის შენ. #15	182 206	159 691

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის .

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სადისტრიბუციო სერვისი“ (ს/ნ 212920892) დაფუძნებულია 2010 წელს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უაღკოპოლო სასმელებზე საბითუმო ვაჭრობა. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი ზ.გამსახურდიას ქ.60. კომპანიის დამფუძნებლები არიან:

- ნინო ბერიძე (პ/ნ-60003006406) - საქართველოს მოქალაქე
- თამაზი გუგუშაშვილი (პ/ნ 60001038305) - საქართველოს მოქალაქე
- მამუკა ვაშაკიძე (პ/ნ-60002007692) - საქართველოს მოქალაქე
- პაატა გელაშვილი (პ/ნ-60001093551) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“, ასევე იყენებენ გაყიდვების პროგრამას NGS. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 40 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებულია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა: (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს; (გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება; (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან

დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და (ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.2 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.3 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.4 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 10-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სარტანსპორტო საშუალებები 10-12

2. კომპიუტერული ტექნიკა 10

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოებისარადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2024	2023
1	პროდუქციის გაყიდვა	9 745 776	7 980 054
2	მომსახურების გაწევა	215 267	186 599
	სულ ამონაგები:	9 961 043	8 166 653

პროდუქციის გაყიდვა მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 9745776 ლარს, ხოლო მომსახურების გაწევა ხორციელდება კომპანიებთან და ამონაგები შესაბამისად შეადგენს 215267 ლარს. სულ 2024 წლის ამონაგებმა შეადგინა 9961043 ლარი. (შენიშვნა #1)

#	დასახელება	2024	2023
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	371 609	364 414
2	მარაგების შესყიდვა	7 783 346	6 600 670
3	გადამუშავების დანახარჯი	7 869 771	6 593 475
	საბოლოო მარაგები	285 184	371 609

საწყისი მარაგები 371609 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი პროდუქციის ნაშთს, შესყიდული მარაგები ძირითად პროდუქციაზე არის 7783346 ლარი, გადამუშავების დანახარჯი ძირითად პროდუქციაზე არის 7862237 ლარი, ხოლო 7534 ლარი არის კორექტირება და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის პროდუქციის მარაგების ნაშთმა შეადგინა 285184 ლარი. (შენიშვნა #2)

#	დასახელება	2024	2023
1	სულ ამონაგები	9 961 043	8 166 653
2	პროდუქციის თვითღირებულება	(7 862 237)	(6 491 924)
3	საერთო მოგება	2 098 806	1 674 729

სულ ამონაგებმა შეადგინა 9961043 ლარი. პროდუქციის თვითღირებულებამ 7862237 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 2098806 ლარი. (შენიშვნა #3)

#	დასახელება	2024	2023
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	198 147	148 527
2	საპენსიო დანარიცხი	2 954	1 977
3	საკომუნიკაციო	6 299	6 063
4	საკონსულტაციო	5 000	4 000
5	დასუფთავების მოსაკრებელი	8 987	560
6	საგადასახადო ხარჯი (ქონება)	1 990	1 909
7	ცვეთა და ამორტიზაცია	-	578
8	დაზღვევა	6 022	5970
9	მარკეტინგული კვლევა	494 636	461 173
10	რეკლამა	500	500
9	სხვა საოპერაციო ხარჯი (საკანცელარიო, ბანკის და ა.შ)	11 662	12 581
10	სულ საოპერაციო ხარჯი	736 197	643 835

მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 736197 ლარი. (შენიშვნა #4)

#	დასახელება	2024	2023
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	594 443	452 830
2	საპენსიო დანარიცხი	8 860	6 932
3	მიწოდების	293 857	287 863
4	საიჯარო ქირა	57 736	68 162
5	საწვავი	119 017	114 957
6	ცვეთა და ამორტიზაცია	14 386	10 500
7	სულ საოპერაციო ხარჯი	1 088 299	941 244

მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 1088299 ლარი.(შენიშვნა #5)

#	დასახელება	2024	2023
1	არასაოპერაციო შემოსავალი	-	-
2	არასაოპერაციო ხარჯი	31 495	-)

მთლიანმა არასაოპერაციო ხარჯმა შეადგინა 31495 ლარი.

#	დასახელება	2024	2023
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	242 815	89 650
2	მოგების გადასახადი	(46 970)	(37 568)
3	მოგება/(ზარალი)	195 845	52 082
4	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	195 845	52 082

მთლიანი შემოსავლების და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 242815 ლარი, რომელსაც გააკლდება მოგების გადასახადის ხარჯი 46970 ლარი და დარჩება წმინდა მოგების სახით 195845 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2024 წლის გაუნაწილებელ მოგებაში. (შენიშვნა #6)

#	დასახელება	2024	2023
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	284 959	405 298
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	195 845	52 082
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(214 737)	(172 421)
4	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	266 067	284 959

საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში იყო 284959 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 195845 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 214737 ლარით და 2024 წლის ბოლოსათვის შეადგინა 266067 ლარი. (შენიშვნა #7)

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2024	2023
1	ფული სალაროში ლარში	11 600	24 557
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	170 606	131 252
3	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში უცხოურ ვალუტაში	0	3 882
4	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	182 206	159 691

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2024 წელს უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები არ განხორციელებულა, ხოლო ეროვნულ ვალუტაში ახორციელებდა საბანკო ტრანზაქციებს მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 159691 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსთვის შეადგინა 182206 ლარი. (შენიშვნა #8)

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 1351078 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 11760567 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად 11499963 ლარი, დაკორექტირდა 36241 ლარი და დარჩა მისაღები 1575441 ლარი. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო. (შენიშვნა #9)

მარაგები კომპანიაში მოიცავს ორ კომპონენტს პირველი მზა პროდუქცია და მეორე საწვავ-საცხები მასალები. მზა პროდუქცია ჩვენ უკვე განვიხილეთ, წლის განმავლობაში მიღებულია 119017 ლარის საწვავ-საცხები მასალა, რომელიც მთლიანად გაიხარჯა და ნაშთი არ დარჩენილა (შენიშვნა #10)

დასახელება	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	არამატერიალური აქტივი	სულ
ნაშთი 31.12.2023	129 326	1 851		131 177
შემოსვლა	43 545	2 097		45 642
ცვეთა	(13 211)	(1 175)		(14 386)
ნაშთი 31.12.2024	159 660	2 773	0	162 433

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ძირითადად სატრანსპორტო საშუალებებით. პარკი მოძველებულია და საჭიროებს განახლებას. ასევე მოძველებულია კომპიუტერული ტექნიკაც. სულ ძირითად საშუალებებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 131177 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 45642 ლარის ძირითადი საშუალება, ცვეთამ ჯამურად შეადგინა 14386 ლარი და 2024 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 162433 ლარი. (შენიშვნა #11)

სავაჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 1750160 ლარი, წლის ბოლოსათვის კი შეადგინა 2000005 ლარი.(შენიშვნა #12)

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 284959 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 195845 ლარი, გაიცა დივიდენდები 214737 ლარის და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 266067 ლარი. (შენიშვნა #14)

5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2024	2023
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	10 514	32 080
2	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	12 001	28 125
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	22 515	60 205
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	159 691	99 486
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	182 206	159 691

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 159691 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის ზრდა 10514 ლარი, ხოლო საინვესტიციო საქმიანობიდან ზრდა 12001 ლარი, შედეგად წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტებში შეადგენს 22515 ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 182206 ლარი.(შენიშვნა #15)

დირექტორი: გიორგი გელაშვილი